ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 312

23 ივლისი
"---" -------- 2021 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, კანდელაკის ქუჩა №31-ის მიმდებარედ 34 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.12.041.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბრაუჰაუს ტიფლისისთვის " (ს/კ. 405404771) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, კანდელაკის ქუჩა №31-ის მიმდებარედ 34 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.12.041.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბრაუჰაუს ტიფლისისთვის " (ს/კ. 405404771) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 7 ივლისის №21.937.1060 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, კანდელაკის ქუჩა №31-ის მიმდებარედ 34 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.12.041.032) შპს „ბრაუჰაუს ტიფლისისთვის" (ს/კ. 405404771) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 6 120 (ექვსი ათას ას ოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე